ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1604602

ნომერი: AR1262343

თარიღი : 31.10.2014

გაცემის თარიღი : 21.11.2014

გაცნობის თარიღი : 21.11.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლუბლიანა , N 40 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა ჩიქვინიძე პ/ნ 01026001804
- თბილისი ბახტრიონის ქ. კორ. 1 ბ. 51

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 31/10/2014წ. AR1262343 განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ცვლილების შეტანას ამავე სამსახურის 22.02.13 წლის #544554 ბრძანებაში.

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურმა უკვე იმსჯელა განსახილველ განაცხადში დასმულ საკითხთან დაკავშირებით

და 18.08.2014წ. #1436543 გადაწყვეტილებით გაცნობათ შესაბამისი პოზიცია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102–ე მუხლის თანახმად, განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზედაც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი განცხადების, აგრეთვე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება წარდგენილი იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამასთან, თუ განცხადებაში არ არის მითითებული ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი, ადმინისტრაციული ორგანო განცხადების განუხილველად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტს განცხადებაზე უარის თქმის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, არსებობს სამსახურის 18.08.2014წ. #1436543 გადაწყვეტილება განსახლველი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და დღეისათვის, უცვლელია საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემას, ამასთან, ადგილი არა აქვს მითითებას ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებების თაობაზე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს თქვენი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობა.
